ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა
გეოგრაფია
III ტური
2025 წელი

➢ *კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება № 1-5*

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

(1) 1. სად არის გადაღებული მოცემული ფოტოები?

ა) ახალ ზელანდიაში;
ბ) გაერთიანებულ სამეფოში;
გ) ავსტრალიაში;
დ) კაიმანის კუნძულებზე.

(1) 2. **მოცემული ინფოგრაფიკი ასახავს ნატოს წევრი სახელმწიფოების მიერ თავდაცვაზე გაწეულ ხარჯს (მლრდ. აშშ დოლარი). მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე რომელი მტკიცებაა მართებული?**

ა) პოლონეთი უფრო მეტ თანხას ხარჯავს თავდაცვაზე, ვიდრე გერმანია;

ბ) 2023 წელს თავდაცვის ხარჯები პროცენტულად პოლონეთში უფრო მეტად გაიზარდა ვიდრე აშშ-ში;

გ) აშშ-ში თავდაცვის ხარჯის ტვირთი ეკონომიკაზე უფრო მაღალია ვიდრე პოლონეთში;

დ) ბალტიის ქვეყნები ვერ აკმაყოფილებენ თავდაცვის ხარჯებთან დაკავშირებულ მინიმალურ მოთხოვნებს.

(1) 3. რომელი სათაური შეესაბამება დავალებაში მოცემულ რუკას?

ა) მსოფლიოს ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილები;

ბ) მსოფლიოს სეპარატისტული განწყობის მქონე რეგიონები;

გ) მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკური რეგიონები;

დ) მსოფლიოს ბუნებრივ-სტიქიური კატასტროფების ცხელი წერტილები.

(1) 4. რისი განსაზღვრაა დანამდვილებით შესაძლებელი ილუსტრაციაზე მოცემულ ადგილთან დაკავშირებით?

ა) ნახევარსფეროში მდებარეობის;

ბ) ჰავის ოლქში მდებარეობის;

გ) გაბატონებული ქარის მიმართულების;

დ) ეროზიული პროცესების დინამიკის.

(1) 5. რა არის აუცილებელი პირობა ატმოსფეროში იმისთვის, რომ წარმოიქმნას ჰალო?

ა) მზის აქტივობის პერიოდში დიდი რაოდენობით შემოჭრილი სხივები;
ბ) მაგნიტოსფეროში მზის ქარის სიჩქარის გაზრდით გამოწვეული დარღვევები;
გ) გლობალური კლიმატის ცვლილებისას ჰაერში CO_2-ის კონცენტრაციის მატება;
დ) ტროპოსფეროს ზედა ფენაში ყინულის კრისტალების შესაბამისი განლაგება.

➢ *შესაბამისობის დადგენა - დავალება № 6-8*

ინსტრუქცია
დაადგინეთ შესაბამისობა და ნიმუშის მიხედვით შეავსეთ პასუხების ფურცელში მოცემული შესაბამისი ცხრილი. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(7) 6. ნიმუშის მიხედვით შეავსეთ პასუხების ფურცელში მოცემული შესაბამისი ცხრილი:

	მსოფლიოს კულტურული / ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლის ამსახველი ფოტო	სახელმწიფო, სადაც იგი მდებარეობს
ნიმუში	*უშგულის თემი*	*საქართველო*
1	ბელოვეჟის ტევრი	

2	 მამონტის მღვიმე	
3	 ჩანჩქერი იგუასუ	

4	 გიორემეს ისტორიული ეროვნული პარკი და კაპადოკია	
5	 ათონის მთა	
6	 ცინჟი-დიუ-ბემარაჰას ნაკრძალი	

7	 ნასკას გეოგლიფები	

(6) 7. ნიმუშის მიხედვით შეავსეთ პასუხების ფურცელში მოცემული შესაბამისი ცხრილი:

	კოსმოსური ფოტო	სრუტის დასახელება	სახელმწიფოები, რომლებსაც ეს სრუტე ჰყოფს
ნიმუში		*პა-დე-კალე*	*გაერთიანებული სამეფო - საფრანგეთი*
1			

2			
3			
4			
5			

6			

(7) 8. ნიმუშის მიხედვით შეავსეთ პასუხების ფურცელში მოცემული შესაბამისი ცხრილი:

	ღირსშესანიშნაობა	ქალაქი	ზღვა / ყურე, რომლის ნაპირებთანაც ის მდებარეობს
ნიმუში		რიო-დე-ჟანეირო	გუანაბარის უბე
1			

2			
3			
4			

5			
6			
7			

- *ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 9-13*

ინსტრუქცია

გააანალიზეთ დავალებაში მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულების რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(2) 9. რა ჰქვია ფოტოზე გამოსახულ ტრადიციულ საცხოვრებელს? დაასახელეთ მკვიდრი ხალხი, რომელიც აშენებს ამ ტიპის საცხოვრისს არქტიკის რეგიონში.

(4) 10. გააანალიზეთ მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:




მარტი
2022


სექტემბერი
2022


იქალუიტი (კანადა) 64⁰ ჩ.გ. 68⁰ დ.გ.
°C
სიმაღლე ზღ.დ. 103მ.
°C: -8,6
მმ: 592
მმ
15
10
5
0
-5
-10
-15
-20
-25
-30
105
90
75
60
45
30
15
0
01
02
03
04
05
06
07
08
09
10
11
12
Copyright: CLIMATE-DATA.ORG



(2) **10.1.** რომელ თვეშია არქტიკული ყინულის ფართობი ყველაზე ნაკლები და ახსენით ამ გარემოების გამომწვევი მიზეზი.

(2) **10.2.** არსებობს მოსაზრება რომლის მიხედვითაც არქტიკის ყინულისგან გათავისუფლება მოიტანს როგორც უარყოფით, ასევე დადებით შედეგებს. ამ მოსაზრების დასადასტურებლად მოიყვანე ერთი დადებითი და ერთი უარყოფითი არგუმენტი.

(6) 11. გააანალიზეთ ტოპოგრაფიული რუკის ფრაგმენტი და უპასუხეთ კითხვებს:



მასშტაბი: 1 : 5 000

(1) **11.1.** მოცემული რელიეფის პროფილებიდან რომელი შეესაბამება რუკაზე აღნიშნულ A და B წერტილებს შორის მონაკვეთს?

ა) I
ბ) II
გ) III
დ) IV



(1) **11.2.** ზღვის დონიდან დაახლოებით რამდენი მეტრია მ. გომის სიმაღლე?

ა) 165 მ
ბ) 172 მ
გ) 184 მ
დ) 191 მ

(1) **11.3.** გამოთვალეთ რამდენ მეტრს უდრის მანძილი წყაროდან მეტყევის სახლამდე, თუ რუკაზე შესაბამისი მონაკვეთის სიგრძე 5.5 სანტიმეტრია (აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი).

(3) **11.4.** განსაზღვრეთ, რუკაზე ციფრებით აღნიშნული რომელი ნაკვეთისთვის (1, 2 თუ 3) იქნება ნიადაგის წყლისმიერი ეროზიის განვითარების უფრო მაღალი რისკი. თქვენი არჩევანის დადასტურებისთვის მოიყვანეთ ორი არგუმენტი.

(3) **12.** ქალაქ დოდომას კლიმატური მონაცემების მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

დოდომას კლიმატის მონაცემები (1991–2020)													
თვე	იან	თებ	მარ	აპრ	მაისი	ივნ	ივლისი	აგვ	სექ	ოქტ	ნოემ	დეკ	წელიწადი
საშუალო მაქსიმალური °C (°F)	29.7 (85.5)	29.8 (85.6)	29.6 (85.3)	28.8 (83.8)	28.2 (82.8)	27.4 (81.3)	26.6 (79.9)	27.5 (81.5)	29.2 (84.6)	30.8 (87.4)	31.5 (88.7)	30.6 (87.1)	29.1 (84.4)
საშუალო °C (°F)	24.1 (75.4)	24.2 (75.6)	23.7 (74.7)	23.3 (73.9)	22.7 (72.9)	20.9 (69.6)	20.3 (68.5)	21.0 (69.8)	22.3 (72.1)	24.1 (75.4)	24.9 (76.8)	24.5 (76.1)	23.0 (73.4)
საშუალო მინიმალური °C (°F)	19.3 (66.7)	19.2 (66.6)	19.0 (66.2)	18.4 (65.1)	17.1 (62.8)	15.1 (59.2)	14.2 (57.6)	14.9 (58.8)	15.9 (60.6)	17.5 (63.5)	18.8 (65.8)	19.3 (66.7)	17.4 (63.3)
ნალექების საშუალო რაოდენობა მმ (ინჩი)	140.4 (5.53)	116.8 (4.60)	111.1 (4.37)	43.8 (1.72)	4.8 (0.19)	0.2 (0.01)	0.2 (0.01)	0.0 (0.0)	0.1 (0.00)	6.0 (0.24)	27.8 (1.09)	143.3 (5.64)	594.5 (23.41)
საშუალო წვიმიანი დღეები (≥ 1.0 მმ)	9.9	8.4	7.7	4.1	0.8	0.1	0.1	0.0	0.1	0.4	2.1	7.9	41.6
საშუალო ფარდობითი ტენიანობა (%)	66	68	70	68	63	60	59	58	55	53	55	63	62

(1) **12.1.** რას უდრის ქ. დოდომას ჰაერის საშუალო ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა? (აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი).

(2) **12.2.** რომელ კლიმატურ სარტყელში მდებარეობს ქალაქი და რომელი ქარები ახდენს გავლენას ქალაქში ნალექების წლიურ მსვლელობაზე?

(5) 13. გააანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

ჰუსიტების დაჯგუფებამ 2004 წელს დაიწყო შეიარაღებული აჯანყება ქვეყნის მთავრობის წინააღმდეგ. დაჯგუფებამ თანდათანობით დაამყარა კონტროლი ქვეყნის სამხრეთის ტერიტორიებზე. ხოლო მას შემდეგ რაც დაჯგუფებამ შეძლო 2015 წელს ქვეყნის დედაქალაქის აღება და მასზე კონტროლის დამყარება, წარმოადგენს ქვეყნის დე ფაქტო მმართველ ორგანიზაციას, რომლის ლეგიტიმურობასაც არ აღიარებს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. მიუხედავად ამისა, ჰუსიტებს მაინც ჰყავს მხარდამჭერები ქვეყნის გარეთ. საყოველთაოდ მიიჩნევა, რომ ორგანიზაცია სამხედრო და ფინანსურ დახმარებას იღებს სპარსეთის ყურის ერთ-ერთი სახელმწიფოსგან და მისი მომხრეებისაგან, როგორიცაა ჰეზბოლა სირიაში.

2024 წლის ზამთარში განსაკუთრებით დაიძაბა ურთიერთობა ჰუსიტებსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის წითელ ზღვასა და ბაბ-ელ-მანდების სრუტეში.

(1) **13.1.** რომელი ქვეყნის დე-ფაქტო ხელისუფლებაში მოვიდნენ ჰუსიტები?
(1) **13.2.** სპარსეთის ყურის რომელი სახელმწიფო ეხმარება ჰუსიტებს?
(1) **13.3.** ჰუსიტების რა ქმედებებმა გამოიწვია 2024 წელს დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის გამწვავება?
(1) **13.4.** ახსენით რა უარყოფითი გავლენა ჰქონდა ეგვიპტის ეკონომიკაზე 2024 წლის სიტუაციის გამწვავებას?
(1) **13.5.** ახსენით რა უარყოფითი გავლენა ჰქონდა ევროპის ქვეყნების ეკონომიკაზე 2024 წლის სიტუაციის გამწვავებას?